ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:№41. 41223045

თარიღი:31/10/2022

სენაკის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე დღის წესრიგის შესაბამისად განხილულ იქნა საკითხი – სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2022 წლის 02 მაისს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსულ №40-402211953 მომართვაზე (სარეგისტრაციო №12-41221221-41) - ,,სენაკის მუნიციპალიტეტის 2022 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვასთან დაკავშირებით" - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს VII თავის, მე-100 მუხლის, I პუნქტის; საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი"-ს 85-ე მუხლის, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2022 წლის 31 ოქტომბრის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულ იქნეს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი – სენაკის მუნიციპალიტეტის 2022 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე) გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოება.
2. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულ იქნეს 2022 წლის 30 ნოემბრამდე.

3. სენაკის მუნიციპალიტეტის 2022 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენასა და შეფასებასთან დაკავშირებით საკითხი გადაეცეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს - ბადრი კალანდარიშვილს; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – საკრებულოს აპარატის უფროსს - ვეფხვია რუსიას.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ. №247).

საბა ოდიშარია

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქ.სენაკი,4100 შ.რუსთაველის ქ. №243 , ტელ: 0413 27 60 60, 27 50 16
ელ-ფოსტა: SAKREBULO.SENAKI@GMAIL.COM ვებ: WWW.SENAKI-SAKREBULO.GOV.GE